არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საზოგადოება ივერიისა“

აუდირებული ფინანსური უწყისები

დეკემბერი

2020

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საზოგადოება ივერიისას" („საზოგადოება") სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებასთან („ფინანსური ანგარიშგება") მიმართებაში საზოგადოების ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს და წმინდა აქტივების ცვლილებას ამ თარიღში დასრულებული წლის განმავლობაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა არჩეული ბუღალტრული პრინციპები გამოყენებული და არსებითი გადახრები წარმოდგენილი და ახსნილი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში საზოგადოების ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- საზოგადოებაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- საზოგადოების აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების გახორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2021 წლის 31 მარტს.

RSM

RSM Georgia

85, Z.Paliashvili str
Tbilisi 0162, Georgia

T +995 (32) 255 88 99
F +995 (32) 255 88 99

www.rsm.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ა(ა)იპ „საზოგადოება ივერიისას" („საზოგადოება") ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი ა(ა)იპ „საზოგადოება ივერიისას" თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების („ფინანსური ანგარიშგება"), რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ამ თარიღში დასრულებული წლის საქმიანობისა და წმინდა აქტივების ცვლილების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და განმარტებით შენიშვნებს.
ჩვენი აზრით, თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მისი საქმიანობის შედეგებს ამ თარიღში დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების მე-2 განმარტებით შენიშვნაში აღწერილი ბუღალტრული საფუძვლების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის" ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბასს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე
ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე. პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც უნდა უზრუნველყოფდეს მომზადებასა და სამართლიან წარდგენას ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც არ შეიცავს როგორც შეცდომით, ისე თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

THE POWER OF BEING UNDERSTOOD
AUDIT | TAX | CONSULTING

Ltd. RSM Georgia is a member of the RSM network and trades as RSM. RSM is the trading name used by the members of the RSM network. Each member of the RSM network is an independent accounting and consulting firm which practices in its own right. The RSM network is not itself a separate legal entity in any jurisdiction.

Lead sponsors
European Business Awards

RSM

აუდიტორის პასუხისმგებლობა აუდიტის მოსაზრებაზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ,,არესემ საქართველო"
31 მარტი 2021

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

RSM Georgia

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საზოგადოება ივერიისა"

წმინდა აქტივების მოძრაობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი
ფულადი ნაკადები საზოგადოების ფუნქციონირებიდან:			
მიღებული დონორთა შემოწირულობა	8	1,031,044	1,124,318
სესხის პატიება	8	2,026,161	-
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	5	32	23
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	8	(583,306)	(498,828)
მიღებული სესხი წმინდა	7	(2,348,186)	70,347
ფონდის ფუნქციონირებიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**125,745**	**695,860**
სამშენებლო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები:			
სამშენებლო სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება	8	(10,259)	(577,103)
სამშენებლო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(10,259)**	**(577,103)**
ფული და ფულის ეკვივალენტების ზრდა/(წმინდა) კლება		**115,486**	**118,757**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		**163,964**	**45,207**
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს		**279,450**	**163,964**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 31 მარტს.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საზოგადოება ივერიისა“

საქმიანობისა და წმინდა აქტივების ცვლილების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

წმინდა აქტივების ცვლილება	შენიშვნა	2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი
დონორთა შემოწირულობა	8	3,057,205	1,124,318
სულ შემოსავალი		**3,057,205**	**1,124,318**
ანაზღაურებული სამშენებლო სამუშაოები	8	(10,259)	(577,103)
ხელფასები	9	(250,585)	(263,568)
პრომოუშენი	10	(8,071)	(1,531)
ცვეთა და ამორტიზაცია	3,4	(1,380)	(5,082)
უიმედო მოთხოვნის ჩამოწერა		-	(121,530)
უსასყიდლოდ გადაცემული საქონელი	11	(39,698)	-
საპროცენტო ხარჯი	7,8	(22,982)	(111,315)
სხვა ხარჯები		(38,609)	(54,113)
სულ ხარჯები		**(371,584)**	**(1,134,242)**
წმინდა საოპერაციო აქტივების ცვლილება		**2,685,621**	**(9,924)**
წმინდა საკურსო სხვაობა	12	(232,861)	(140,001)
საპროცენტო შემოსავალი	5	32	23
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	13	12,635	-
წმინდა აქტივების ცვლილება მოგების გადასახადამდე		**2,465,427**	**(149,902)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა აქტივების ცვლილება		**2,465,427**	**(149,902)**
წმინდა აქტივები პერიოდის დასაწყისში		**(2,352,800)**	**(2,202,898)**
წმინდა აქტივები პერიოდის ბოლოს		**112,627**	**(2,352,800)**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 31 მარტს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
არამატერიალური აქტივები	3	25,650	26,120
სხვა აქტივები	4	5,255	1,309
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		-	1,565
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	279,450	163,964
სულ აქტივები		**310,355**	**192,958**
ვალდებულებები და წმინდა აქტივები			
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	6	328	172
მიღებული სესხები	7	197,400	2,545,586
სულ ვალდებულებები		**197,728**	**2,545,758**
წმინდა აქტივები			
კუმულატიური დონორის შემოწირულობები	8	24,577,948	21,520,743
კუმულატიური საპროცენტო შემოსავალი	8	485,509	485,477
ანაზღაურებული კუმულატიური სამშენებლო დანახარჯები	8	(20,178,131)	(20,167,872)
კუმულატიური ადმინისტრაციული ხარჯები	8	(4,772,699)	(4,191,148)
სულ წმინდა აქტივები		**112,627**	**(2,352,800)**
სულ ვალდებულებები და წმინდა აქტივები		**310,355**	**392,958**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 31 მარტს.